



ურბანიზაცია და შეცვლილი თურქული საზოგადოება

სანდრო ბაკურაძე

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში თურქეთი, მეტწილად სასოფლო საზოგადოებას წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა, ხოლო სასოფლო რეგიონების სოციალურ ურთიერთობებში კვლავ შეინიშნებოდა ფეოდალიზმის გავლენები. მცირემიწიანობა, ფეოდალიზმი, გაჭირვება და სახელმწიფო პოლიტიკა, სოფლად ცხოვრებას საკმაოდ ართულებდა და შედეგად, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, სოფლების მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზებით, ქალაქებს მიაწყდა.

სოფლიდან ჩამოსახლებულები მუშაობდნენ როგორც მარშალის გემის და დასავლეთ ევროპიდან თუ ამერიკიდან შემოსული ინვესტიციებით აშენებულ ახალ ფაბრიკა-ქარხნებში, ისე სახელოსნოებში, რესტორნებში, მშენებლობებზე და ზოგიერთ შემთხვევაში, დიდ ურბანულ ცენტრებთან ახლოს მდებარე ან ახლად ინდუსტრიალიზებულ რეგიონებში არსებულ პლანტაციებში, სადაც ტექნიკური კულტურები მოჰყავდათ. თურქეთის ხელისუფლებებს სწრაფი და ქაოტური მიგრაციის სამართავად ადეკვატური საბინაო პოლიტიკა არ გაუტარებიათ, შედეგად, სტამბოლის, ანკარის, იზმირის და თურქეთის სხვა დიდი ქალაქების ტერიტორიებზე, სოკოებივით აღმოცენდა ე.წ. გეჯექონდუები¹ - სახელდახელოდ აშენებული საცხოვრისებისგან შემდგარი დასახლებები. შედეგად, მოკლე ხანში, თურქეთში ურბანული მოსახლეობა მკვეთრად გაიზარდა და თუკი 1950 წელს მოსახლეობის 75% სოფლად ცხოვრობდა, უკვე 1970 წელს ეს რიცხვი 60%-ამდე შემცირდა, ხოლო 2008 წელს, მოსახლეობის 75% უკვე ქალაქებში ცხოვრობდა.²

ურბანიზაციამ მთლიანად შეცვალა თურქეთის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა. გეჯექონდუებმა და ქალაქებში პროლეტარიატის წარმოშობამ ხელი შეუწყო რადიკალური პოლიტიკის წარმოშობას, ახალი სახე მისცა პოპულიზმს, ხილვადი გახადა მთელი

¹ Gecekondu სიტყვა-სიტყვით ღამით დადგმულს ნიშნავს. იმ პერიოდის თურქეთში, მუნიციპალიტეტს სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე მდგარი გადახურული ნაგებობის დანგრევის იურიდიული უფლება არ ჰქონდა. შესაბამისად, ისინი, ვისაც ამ ტერიტორიებზე დასახლება სურდა, ცდილობდა საცხოვრისი რაც შეიძლება სწრაფად აეშენებინა და ყოფილა შემთხვევები, როდესაც, ნაგებობა მართლაც ერთ დღეში გადაუხურავთ. დასავლურ აკადემიურ ლიტერატურაში gecekondu-ს ინგლისურ ენაზე ხშირად როგორც slum-ს ისე თარგმნიან, რაც მხოლოდ ნაწილობრივია მართალი - განსხვავებით slum-ებისგან, გეჯექონდუ ხშირ შემთხვევაში გვევლინებოდა ურბანულ გარემოში სოფლური ცხოვრების არეალად, სადაც ძირითადად ერთი რეგიონიდან ჩამოსულები ცხოვრობდნენ, სოციალური მობილობის შესაძლებლობა კი, განსაკუთრებით მეორე თაობისათვის საკმაოდ მაღალი იყო.

² Türkiye'nin Dönüşümü, Hacettepe Üniversitesi, Nüfus Etütleri Enstitüsü, Ankara, 2008, გვ. 19

რიგი ეთნიკური და სოციალური ჯგუფები და შეარყია არსებული პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ძირითადად არამუსლიმებთან ასოცირებული ქალაქური კულტურა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ერთ დიდ აღმოსავლურ-დასავლურ სინთეზად იქცა და გლობალიზაციის ფერხულში ჩაბმული ქვეყნის, გარდაქმნასთან დაკავშირებული სულიერი ტრავმის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

ურბანიზაციამ, ჯერ გეჯექონდუების წარმოშობამ, შემდეგ კი გეჯექონდუების თანამედროვე უბნებით ჩანაცვლებამ და მათი მცხოვრებლების რეგიონული იდენტობებიდან თანდათანობითმა მოწყვეტამ, საფუძვლიანად შეცვალა თურქეთი და როგორც ბოლო არჩევნების შედეგებიდან ვხედავთ, ურბანიზაციის შედეგად გაძლიერებული კონსერვატიულ ტალღას მოყოლილი ხელისუფლება, იმავე ურბანიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლამ შეასუსტა და ახალ ცვლილებებს გაუხსნა გზა.

1950-იანი წლების ეკონომიკური ზუმი და ტრადიციული სასოფლო ყოფის რღვევა

1950-იანმა წლებმა მრავალპარტიულ სისტემასთან ერთად ეკონომიკური ლიბერალიზაცია მოიტანა. თურქეთში, ქვეყნის ნატოში და შესაბამისად, დასავლეთის პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანებასთან ერთად, იმატა დასავლურმა ინვესტიციებმაც, რომლებმაც, მარშალის გეგმის ფარგლებში აშშ-ს მიერ გაწეულ დახმარებასთან ერთად, თურქული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ფინანსური ძალის გაზრდამ, გაზარდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და პროდუქტიულობის დონე, რამაც, თურქეთში, სადაც, მიწის რაოდენობის გათვალისწინებით, მცირე მიწიანი და უმიწო გლეხების რაოდენობა დიდი იყო³ დიდი რაოდენობით მუშახელი გამოათავისუფლა და აიძულა, სოფლები დაეტოვებინათ. სოფლების დაცლის პროცესის დაწყებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ თურქეთში, საკმაოდ გვიანდელ პერიოდამდე, მიწის ფლობის ფეოდალური ტრადიცია შენარჩუნდა⁴ და სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან ერთად, თავად მიწისმფლობელებს არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ ჰქონდათ, რომ გამოათავისუფლებული მუშახელისათვის ალტერნატიული სამუშაო

³ მაგალითად, ფრანკ ჰესკეს მიხედვით 1950 წელს, სამეურნო მიწის ყოველ კვადრატულ კილომეტრზე, თურქეთში 215 მეურნე მოდიოდა, მაშინ, როცა ეს რიცხვი გერმანიაში 91, ბელგიაში 98, ხოლო ინგლისში 83 იყო. იხ: Sinan Işıldak – Marshall Planı ve Türkiye’de Tarım (1948-1960), Doktora Tezi, Niğde Ömer Halisdemir Üniversitesi, 2020, გვ. 118

⁴ ერთპარტიული რეჟიმის დროს მუსტაფა ქემალ ათათურქის და ისმეთ ინონუს ხელისუფლებებმა რამდენჯერმე სცადეს აგრარული რეფორმის გატარება, თუმცა უშედეგოდ. დემოკრატიული პარტიის ლიდერის და 1950-1960 წლებში თურქეთის პრემიერ-მინისტრის - ადნან მენდერესის, (რომელიც თავადაც მსხვილი მიწათმფლობელი გახლდათ.) პოლიტიკური კარიერის აღმასვლაც 1945 წელს, აგრარული რეფორმის საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში გაწეულ ჯაფას უკავშირდება. მოგვიანებით, მიწის ფლობის ფეოდალური სისტემა, 1970-იან წლებში გლეხების მიერ მიწების იძულებით დაკავების კამპანიების მიზეზად იქცევა. საგულისხმოა, რომ ქემალიზმის და ერთპარტიული პერიოდის მემარცხენე კრიტიკოსების უმეტესობა (ქემალ ბურქაი, იბრაჰიმ ქაიფაქქაია, ე. თურქ ელიჩინი, ფიქრეთ ბაშქაია და სხ.) ერთპარტიულ პერიოდს ბურჟუაზიის და მსხვილი მიწათმფლობელების კოალიციურ მმართველობად მიიჩნევს. იგივე მოსაზრებებს ვხვდებით დასავლელი თურქოლოგების ნაშრომებშიც, რის მაგალითადაც ერიკ იან ცურხერის ნაშრომებიც გამოდგება.

შეთავაზებინათ. ამას ერთვოდა მუდმივად მზარდი მოსახლეობის რაოდენობაც, რომელიც, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და უმიწობის ფაქტორებიდან გამომდინარე, საკუთარ მომავალს სასოფლო არეებში ვერ ხედავდა.

სოფლებიდან წასული გლეხების ნაწილმა, ჩუქურთვას და ეგეოსის ზღვის რეგიონებში მდებარე, სხვადასხვა ინდუსტრიალიზებულ მეურნეობებში დაიწყო მუშაობა, მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი დიდ ქალაქებს მიაშურა. ხოლო უცხოური ინვესტიციების საშუალებით დაწყებულმა ინდუსტრიალიზაციის ტალღამ დიდი ეკონომიკური ზრდა გამოიწვია,⁵ რამაც, ქალაქებში გადასახლება, სოფლის ბევრი მაცხოვრებლისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი გახადა. ამგვარად, სოფლის მოსახლეობა მასობრივად მიაწყდა თურქეთის დიდ და/ან ახლადინდუსტრიალიზებულ ქალაქებს.

მასობრივი და სპონტანური ურბანიზაციისათვის თურქეთის ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ერთპარტიული მართველობის პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკა სასოფლო მოსახლეობის შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული,⁶ ქალაქის კონტექსტში არ არსებობდა არც დასაქმების და არც საბინაო თუ დაგეგმარების პოლიტიკა, რაც მოგვიანებით სერიოზული გეტოიზაციის და „ნამალადევების“ ანუ გეჯექონდუების წარმოქმნის სახით, სერიოზული პრობლემების მიზეზად იქცევა, რომლებიც ნაწილობრივ დღემდე ინარჩუნებენ აქტუალურობას.

ინდუსტრიალიზაციის პირველმა მასობრივმა ტალღამ, ქვეყანაში, სადაც მანამდე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა, ქალაქებში მრავალი ახალი სამუშაო ადგილი და მუშახელზე დიდი მოთხოვნა გააჩინა, რასაც, შესაბამისად, ფაბრიკებში არსებული სამუშაო ადგილების, მიმზიდველ, მაღალხელფასიან პოზიციებად ჩამოაყალიბა, რაც, განსაკუთრებით უმიწო და მცირემიწიან სოფლის მოსახლეობას ანდამატივით იზიდავდა. ქალაქებში რეგულარული შემოსავლის მქონე სეგმენტების გაჩენამ კი, თავის მხრივ მომსახურების და წვრილი ვაჭრობის სექტორებში დასაქმების ახალი შესაძლებლობები წარმოშვა, რამაც, სოფლიდან გადმოსახლებულების ნაწილის ამ სექტორებში გადინება გამოიწვია.⁷ ამგვარად, ათ წელიწადში, ქალაქის მოსახლეობის წილი, 25%-დან 31%-ამდე გაიზარდა.⁸ ამავე დროს, მარშალის გეგმის შედეგად რკინიგზის და საავტომობილო

⁵ მაგალითად 1950-1953 წლებში ეკონომიკურა ზრდამ 9.4%,12.8%,11.9% და 11.2% შეადგინა. იხ: Mete Kaan Kaynar(Ed.) - Türkiye'nin 1950'li Yılları, İletişim Yayınları, İstanbul, 2016, გვ.42

⁶ ამ პერიოდში ხელისუფლების პოლიტიკა აგრარული იყო და სოფლების განვითარების კამპანიებით თუ სხვა მეთოდებით, სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მიგრაციის დაბრკოლება პრიორიტეტული იყო. ამ პოლიტიკას ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომამაც, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეკონომიკური მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. ასევე, ერთპარტიული რეჟიმი მჭიდროდ იყო ასოცირებული აგრარიანიზმის და სოფლის ცხოვრების რომანტიზებასთან. იხ: H. T. Örmecioglu – Cumhuriyetin İlk Yıllarında Köycülük Tartışmaları ve Numune Köyleri, Türk Tarih Kurumu: Belleten, N 297, გვ. 729 – 751; J.E. Zürcher – Turkey: A Modern History, I.B. Tauris, New York, 2017 გვ. 208-209; M. A. Karaömerlioğlu - The people's houses and the cult of the peasant in Turkey, Middle Eastern Studies, N 34:4, გვ: 67-91

⁷ იხ: Işıldak, 2020, გვ. 143

⁸ TÜİK İstatistik Göstergeler 1923-2013, 2014

ტრანსპორტის განვითარებამ, ქვეყნის შიგნით კავშირები გააძლიერა და შეამცირა მგზავრობის ხარჯები, რამაც, სოფლის მოსახლეობას საშუალება მისცა ხელსაყრელ ფასად და მცირე დროში, სამუშაოდ თუ საცხოვრებლად წასულიყო სხვა სოფლებში თუ ქალაქებში.

უკონტროლო მიგრაციამ და სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობამ, ურბანულის გარდა კულტურული პრობლემებიც გააჩინა. ათათურქის რეფორმების შედეგად მეტნაკლებად ვესტერნიზებული ქალაქის მოსახლეობა და ტრადიციული ღირებულებების მიმდევარი მიგრანტები, ერთმანეთის მიმართ საკმაოდ უარყოფითად იყვნენ განწყობილნი, ხოლო საბინაო პოლიტიკის არარსებობა მიგრანტებს აიძულებდა მკვიდრი ქალაქელებისგან მოშორებით დასახლებულიყვნენ, რაც მათ ქალაქის კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას აბრკოლებდა და შესაბამისად, დღევანდელ თურქეთში არსებული კულტურული დაყოფის ფესვები, შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი ურბანიზაციის პირველ ეტაპზე ჩაიყარა.

1960-იანი და 1970-იანი წლები: ურბანიზაციის ახალი ტალღა, დაგეგმილი ეკონომიკა. საბინაო საკითხი და გეგექონდუების მასობრივი პოლიტიზაცია.

1960 წლის სამხედრო გადატრიალებამ, რომელმაც ადნან მენდერესის და დემოკრატიული პარტიის ხელისუფლება დაამხო, თან ერთპარტიული პერიოდის რომანტიზაცია და ნოსტალგია მოიყოლა. ქვეყნის სათავეში მოსული ძალები, ერთპარტიული პერიოდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიმართ იდეალისტური მიდგომით გამოირჩეოდნენ, რამაც მათ ეკონომიკურ პოლიტიკაშიც ჰპოვა ასახვა და სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში გაიზარდა და კონსტიტუციურ პრინციპად იქცა.⁹ დაარსდა სახელმწიფო დაგეგმარების კომიტეტი, რომელსაც, ხუთწლედების სახით, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმარება და განსაზღვრა ევალებოდა. ამავე დროს, გრძელდებოდა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რაც, ბუნებრივად, ზრდიდა როგორც ქალაქებში გადასახლებულთა რიცხვს, ისე, არაეფექტური საბინაო პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი გეგექონდუების რიცხვს. რომლებიც ამ პერიოდიდან უკვე სერიოზულ საქალაქო პრობლემად იქცნენ. ხოლო 1970-იანი წლების დასაწყისიდან, გეგექონდუების აქტიურ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბება დაიწყო.

1950-იან წლებამდე, თურქეთის ხელისუფლებას, ურბანიზაციის დაბალი დონის გათვალისწინებით, რაიმე სახის საბინაო პოლიტიკა არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ამ პერიოდში საკმაო ოდენობით მიგრანტი მიიღო, პირველი მსოფლიო ომის და შემდგომ პერიოდებში ანატოლიიდან გადასახლებული ან სხვადასხვა მოვლენების შედეგად დაღუპული არამუსლიმების დანატოვარი უძრავი ქონება კვლავ საკმაო ოდენობით იყო და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ საბინაო საკითხში აქტიური ჩარევა ყოველთვის საჭირო არ იყო და ხშირ შემთხვევაში, არამუსლიმების ქონების რედისტრიბუციისათვის საჭირო იურიდიული ზომებით შემოიფარგლებოდა.¹⁰ აქტიური საბინაო პოლიტიკა ამ პერიოდში, იქნებოდა ეს სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ბინების მშენებლობა თუ ქირით მხარდაჭერა, ძირითადად გამონაკლისის

⁹ İsmail Taner - Türkiye’de 1946-2001 Arası Merkezi Yönetim ve Siyasi Yaklaşımlarda Kentleşme Politikaları, Doktora Tezi, Ankara Üniversitesi, 2002, გვ. 46

¹⁰ A. Namık Çoban – Cumhuriyetin İlanından Günümüze Konut Politikası, Ankara Üniversitesi SBF Dergisi, N. 67-3, 2012~ გვ. 79

სახეს ატარებდა და როგორც წესი, მისი ადრესატები სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების პერსონალი იყო.¹¹ შესაბამისად, ურბანიზაციის ტალღებს სახელმწიფო სრულიად მოუმზადებელი შეხვდა, ხოლო საბინაო საკითხის გადაწყვეტა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, თავად მიგრანტებს მოუწიათ. ასე გაჩნდა გეჯექონდუები, რომლებიც თავდაპირველად დიდი ქალაქების პერიფერიებში, სახელმწიფოს კუთვნილ მიწებზე ამოიზარდა, ხოლო მოგვიანებით, ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებით გამოყენებული სავარგულებიც აითვისა. ამ პერიოდის საბინაო კრიზისის გასაგებად საკმარისია 1979 წელს გეჯექონდუებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობას გადავხედოთ. რუმენ ქელემის მიხედვით, ამ პერიოდში, თურქეთის საქალაქო მოსახლეობის 26% გეჯექონდუებში ცხოვრობდა; ანკარის მოსახლეობის 72%, სტამბოლის მოსახლეობის 55%, ადანის მოსახლეობის 50% და იზმირის მოსახლეობის 45% გეჯექონდუებში ცხოვრობდა, შესაბამისად, საკუთარი საბინაო საჭიროებების პირადი სახსრებით და არცთუ კანონიერი გზით დაკმაყოფილება უწევდა.¹² გეჯექონდუების ზრდამ, მათი მოსახლეობის პოლიტიზაცია და პოლიტიკოსების ამ უკანასკნელთა მიმართ ინტერესის გამოჩენა გამოიწვია. თავდაპირველად, მუნიციპალიტეტების და ზოგადად, სახელმწიფოს დამოკიდებულება გეჯექონდუების მცხოვრებლების მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო და არაერთხელ, მუნიციპალიტეტებმა გეჯექონდუების დემონტაჟის მცდელობებიც განახორციელეს. რომლებსაც მოსახლეობის მკვეთრი წინააღმდეგობა და მზარდი პოლიტიზაცია მოჰყვებოდა. ამავე დროს, პოლიტიკოსებმა ნელ-ნელა გეჯექონდუების მცხოვრებთა პოლიტიკური გავლენის გაცნობიერება დაიწყეს და მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით ზომების გატარება დაიწყეს. ეს ზომები, როგორც წესი, მიწის ნაკვეთების დაკანონებით, უბნებში ელექტროენერჯის და წყლის გაყვანის და კანალიზაციის მშენებლობისაგან შედგებოდა, გამოიცა საგანგებო კანონიც, რომელმაც გეჯექონდუების მფლობელებს საკუთარი უძრავი ქონების, როგორც მიწის ტერიტორიის, ისე საცხოვრებელი ფართის სახით დაკანონების უფლება მისცა.¹³

ამ პერიოდში, გეჯექონდუებში მდგარი სახლების უმეტესობა, ეზოიანი, სოფლური ტიპის სახლი იყო, რომელთაც მთელ რიგ შემთხვევებში ბოსტნები და ხეხილის ბაღებიც ჰქონდა, უბნებს როგორც წესი ერთი პროვინციიდან, რაიონიდან და სოფლიდან გადმოსახლებულები ქმნიდნენ,¹⁴ შესაბამისად, მშობლიურ მხარეში არსებული სოციალური ფაბრიკა მეტწილად გეჯექონდუებშიც ნარჩუნდებოდა. გეჯექონდუები, ქალაქებში არსებული სოფლური ტრადიციების ანკლავებად იქცნენ, რამაც, მოგვიანებით, მათი მოსახლეობის ქალაქურ სოციალურ ფაბრიკაში ინტეგრირება საკმაოდ გაართულა და გეჯექონდუების მაცხოვრებლები, მემარცხენე, მემარჯვენე და ისლამური პოპულისტური მოძრაობების მხარდამჭერებად აქცია. 1970-იანი წლების დასაწყისიდან, შიდა მიგრანტების ქალაქურ ცხოვრებაში ინტეგრაცია როგორც სოციალურ პრობლემად, ისე პოპულარული კულტურის ერთ-ერთ პოპულარულ

¹¹ იქვე, გვ. 80

¹² Ruşen Keleş – 100 Soruda Türkiye’de Şehirleşme, Konut ve Gecekondu, Gerçek Yayınevi, İstanbul, 1983, გვ.196-198

¹³ იხ:Gecekondu Kanunu, N 775, 20/07/1966

¹⁴ Fikret Adaman; Çağlar Keyder – Türkiye’de Büyük Kentlerin Gecekondu ve Çöküntü Mahallelerinde Yaşanan Yoksulluk ve Toplumsal Dışlanma, AB Komisyonu, 2005, გვ. 21

თემად გვევლინება. იქმნება ტერმინები ქალაქურ ცხოვრებაში ვერინტეგრირებულთა აღსანიშნავად,¹⁵ პოპულარული ხდება არაბესკის სახელით ცნობილი მუსიკალური ჟანრი,¹⁶ და საკულტო სტატუსამდე აღწევს ფილმები ქემალ სუნალის მონაწილეობით, რომელთა დიდი ნაწილის მოქმედებაც სწორედ გეჯექონდუებში ხდება, ხოლო პერსონაჟების დიდი ნაწილი, აქცენტით, შესახედაობით და ქცევით, თურქეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულებს წარმოადგენენ და ამგვარად, ხალხის ფართო მასებისათვის საკმაოდ ახლობლები იყვნენ.¹⁷

1970-იანი წლებიდან, თურქეთში პოლიტიკური ატმოსფეროს დამაბვასთან ერთად, გეჯექონდუების მოსახლეობის პოლიტიზებულობის დონემაც შესაბამისად აიწია. ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტების მცდელობები დაენგრიათ არასანქცირებული ნაგებობები, გეჯექონდუების ერთ ნაწილში სერიოზული მობილიზაცია და წინააღმდეგობა გამოიწვია, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლი მოჰყვა, ხოლო უბნები, სხვადასხვა მემარცხენე დაჯგუფებების მიერ კონტროლირებად „გათავისუფლებულ ზონებად“ იქცა. მეორე მხრივ, გეჯექონდუების მეორე ნაწილი, პირიქით, ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ კონტროლირებად არეალად იქცა. მემარცხენე შეხედულებების მქონე ჯგუფების მიერ ორგანიზებული და კონტროლირებადი გეჯექონდუს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითად სტამბოლში, უმრავლეს რაიონში მდებარე, დღევანდელი სახელით მუსტაფა ქემალის უბანი შეგვიძლია მივიჩნიოთ. უბნის ისტორია, 1950-იან წლებში, ახლოს მდებარე ქვის სამტეხლოებში და ფერმებში სამუშაოდ ჩამოსული მიგრანტების მიერ სახელდახელოდ აშენებული საცხოვრისებით იწყება.¹⁸ მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ცარიელ, მშენებლობისათვის ვარგის ტერიტორიებზე მოთხოვნებიც გაიზარდა, რამაც, ტერიტორიაზე, სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიების დაკავებით და გაყიდვით დაკავებული კრიმინალური ჯგუფების გამოჩენა გამოიწვია, იყო თალითობის შემთხვევებიც.¹⁹ მოსახლეობის და მიწის ნაკვეთებით მოვაჭრე ჯგუფების დაპირისპირების შედეგად, იმ პერიოდის თურქეთში საკმაოდ ძლიერმა მემარცხენე მოძრაობამ ისარგებლა და შედეგად, უბანში, სახალხო კომიტეტი ჩამოყალიბდა. რომელიც, უბნის, მეტწილად მემარცხენე შეხედულებების მქონე მცხოვრებლებისგან შემდგარ გაერთიანებას წარმოადგენდა და მისი მიზანი, უბნის საქალაქო განვითარების რეგულირება და კონტროლი იყო. ამავე დროს, სახალხო კომიტეტი აქტიურ როლს ასრულებდა მოსახლეობის ორგანიზებაში წინააღმდეგობა გაეწიათ ადგილობრივი ხელისუფლებების მცდელობებისათვის დაენგრიათ ოფიციალური ნებართვის გარეშე აშენებული დასახლება. ამ კუთხით, 1977 წლის 2 სექტემბერი, ზოგადად გეჯექონდუების ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღად იქცა. ამ დღეს, სტამბოლის

¹⁵ მაგალითად ერქან დოდანის წიგნში *Kentlileşen Efendiler*, ამ სეგმენტის აღსანიშნავად სიტყვა *Kentköylü* გამოიყენება, რაც მიახლოებით ითარგმნება როგორც ქალაქელი სოფელი. იხ: *Erkan Doğan – Kentlileşen Efendiler, Ortak Yayınları, İstanbul, 1980*

¹⁶ რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს კლასიკურ მუსიკაში არსებულ არაბესკებთან და წარმოადგენს, არაბული და ქურთული ხალხური, მეტწილად ქალაქური მუსიკის გავლენით შექმნილ მუსიკალურ ჟანრს. არაბესკის პოპულარობაზე დიდი გავლენა მოახდინა ეგვიპტური ფილმების პოპულარობამაც.

¹⁷ მაგალითად, ქემალ სუნალი, რომელიც ცხოვრებაშიც მალათიელი იყო, როგორც წესი, ფილმებშიც მალათიელ პერსონაჟებს განასახიერებდა.

¹⁸ *Şükrü Arslan – Toplumsal Mücadeleler ve Kentş Bir Alan Örneği: Ümraniye/Mustafa Kemal Mahallesi, Doktora Tezi, Mimar Sinan Üniversitesi, İstanbul, 2003, გვ. 96*

¹⁹ იქვე, გვ. 101

მერიის კუთვნილმა ტექნიკამ, პოლიციის თანხლებით, უბანში არაერთი სახლი დაანგრია, რასაც უბნის მცხოვრებლებს და პოლიციას შორის შეტაკება და ცეცხლის გახსნა მოჰყვა. დაიღუპა 9 ადამიანი და ათობით დაიჭრა. მასშტაბებით. 1977 წლის 2 სექტემბრის მოვლენები გეჯექონდუებში ორგანიზებული წინააღმდეგობებიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდი იყო და იმ პერიოდის თურქეთის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.²⁰

მემარცხენე ჯგუფების გავლენის ზრდის გამო, სახელმწიფომ და საპარლამენტო პარტიებმა 1970-იანი წლის მეორე ნახევრისათვის გეჯექონდუების საკითხის მნიშვნელობა ბოლომდე გააცნობიერეს და როგორც მათი მცხოვრებლების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ისე სხვადასხვა რადიკალური ჯგუფების გაძლიერების პრევენციისათვის აქტიურად დაიწყეს მოქმედება.

ურბანიზაციის 1960-1970-იანი წლების პერიოდი, თურქეთის ისტორიაში ურბანიზაციის გარდა, სოციალური ფაბრიკის ჩამოყალიბების კუთხითაც მნიშვნელოვანი იყო. ამ პერიოდში ნათლად გამოიკვეთა გეჯექონდუების მშენებლობის გეოგრაფიული არეა, რომლებიც აღარ იყო მხოლოდ ხაზინის კუთვნილი ნაკვეთები ცენტრისგან მოშორებით, ამჯერად უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიმდებარე ტერიტორიებზე საწარმოების არსებობას, რომლებიც პოტენციურად, მიგრანტების დასაქმების წყაროდ შეიძლება მიჩნეულიყვნენ. ამავე პერიოდში, არაერთი გეჯექონდუს ტიპის დასახლება მუნიციპალიტეტად იქცა.²¹ ხოლო წინასაარჩევნოდ უკანონო ნაგებობების სალევალიზაციო ამნისტიების გამოცემა სტანდარტულ პოპულისტურ ნაბიჯად იქცა.²² ამავე დროს, ურბანიზაციის ამ ეტაპზე, ქალაქების სოციალური ფაბრიკის მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა გაზარდა ისეთი ჯგუფების ხილვადობა, რომლებიც მანამდე ძირითადად სოფლად ცხოვრობდნენ და როგორც მოსახლეობის ფართო მასების, ისე ხელისუფლების მიერ მეტწილად იგნორირებულნი იყვნენ. სწორედ ამ პერიოდში იწყება ალევიტების, როგორც თვითმყოფადი ჯგუფის ჩამოყალიბება და ხილვად ჯგუფად ქცევა და სწორედ ამავე პერიოდში, პირველი ქურთები იწყებენ კომპაქტური დასახლებების შექმნას დიდ ქალაქებში, ისე, რომ მათი განსხვავებულობა გარშემომყოფთათვისაც შესამჩნევი იყო.²³ სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა დღეს „მემარცხე“, „მემარჯვენე“, „ალევიტური“ და სხვა ეტიკეტით ცნობილი უბნების დიდი ნაწილი დიდ ქალაქებში.

ამავე პერიოდში, სახელმწიფო იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ გეჯექონდუები არ იყო მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხმების მოსაგროვებლად სასარგებლო ურბანული ერთეულები და ამავე დროს თურქული ურბანული პოლიტიკის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იყო. ამგვარად, ამ პერიოდში სახელმწიფო აქტიურად იწყებს ზომების მიღებას პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, ზემოთ ნახსენები უკანონო ნაგებობის ლევალიზაციის შესაძლებლობების შექმნასთან ერთად, იწყება ლევალიზებულ დასახლებებში ელექტროენერჯის, გაზის და

²⁰ იქვე, გვ. 135

²¹ იხ: Mustafa Şen - Türkiye'de Gecekondu'nun 50. Yılı: Barınma İhtiyacından Kentsel Rant Paylaşımına Dönüşen Sürecin Ekonomik, Sosyal ve Politik Boyutları, Friedriech Ebert Stiftung, 1995, გვ. 10

²² ბოლო მსგავს ტიპის ამნისტია 2018 წლის 7 ივნისს, 23 ივნისის არჩევნების წინ გამოცხადდა. იხ: https://www.tbb.gov.tr/storage/userfiles/rehber_ve_bilgi_notlari/imar_barisi.pdf

²³ თუმცა ქურთების მასობრივი გადმოსახლება ქალაქებში უფრო მოგვიანებით, 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება.

წყალგაყვანილობის მოწესრიგება, ტელეფონების დადგმა, სკოლების და პოლიკლინიკების გახსნა და ხაზინის კუთვნილი ტერიტორიებით სპეკულაციების შემზღუდველი კანონების გამოცემა და მარეგულირებელი დაწესებულების დაარსება.²⁴ ამის მიუხედავად, ამ ეტაპზე, სახელმწიფო პოლიტიკა ბოლომდე წარმატებული ვერ გამოდგა, სამშენებლო კოოპერატივებისათვის მიცემული შეღავათიანი კრედიტები ქალაქელი ღარიბებისთვის კვლავ ხელმიუწვდომელი იყო, ხოლო სპეკულაციის აღკვეთის და სათანადო ოდენობით საცხოვრებელი ბინების აშენების კუთხითაც, სახელმწიფო პოლიტიკა უკან რჩებოდა. მაგალითად 1979 წელს, დაუკმაყოფილებელმა საბინაო საჭიროებამ 241 639 შეადგინა.²⁵

1960-1970-იანი წლების პერიოდი 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებით დასრულდა. რომელმაც, მემარცხენე მოძრაობის სასტიკი რეპრესიების გზით მკვეთრად შეცვალა ურბანული ფაბრიკა, ხოლო 1984 წელს დაწყებული ფართო მასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ურბანიზაციის და ქალაქების დეფაქტო ეთნიკური დივერსიფიკაციის დასაწყისად იქცა. ხოლო 1983 წელს თურქეთის სათავეში მოსული დედასამშობლოს პარტიის და მისი ლიდერის თურგუთ ოზალის ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკამ კი მკვეთრად შეცვალა როგორც საქალაქო ცხოვრება, ისე ეკონომიკური სისტემა.

1980-იანი და 1990-იანი წლები, ლიბერალიზაცია, ქალაქის პროლეტარიატი და ქალაქები, როგორც კულტურული დაპირისპირების არენა

1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, მიუხედავად ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და ზოგადად, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირებისა, ახალმა ხელისუფლებამ აღიარა ქვეყანაში არსებული საბინაო პრობლემის არსებობა და მისი აღმოფხვრისაკენ ოფიციალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. 1982 წლის კონსტიტუციის 57-ე მუხლმა, სახელმწიფო ოფიციალურად დაავალდებულა მოეგვარებინა ქალაქებში არსებული საბინაო პრობლემა.²⁶ ხოლო 1984 წელს, საბინაო საკითხების გადაწყვეტის და სოციალური საცხოვრისების აშენების მიზნით შეიქმნა კოლექტიური საცხოვრისების სამმართველო (Toplu Konut İdaresi – TOKİ). ამავე დროს, შეიქმნა საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. მიუხედავად სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურებისა, ამ პერიოდში, განსაკუთრებით საქალაქო პროლეტარიატის საბინაო საჭიროებების დაკმაყოფილება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა და კოლექტიური საცხოვრისებით და კოოპერატიული კრედიტებით სარგებლობა მეტწილად საშუალო და მაღალმა კლასებმა მოახერხეს. რისი მიზეზიც, საბინაო კანონით გათვალისწინებული კრედიტების გაცემის წესები იყო. კოოპერატივის თუ სხვა სახელმწიფოს მიერ კრედიტით მხარდაჭერილი საშუალებით ბინის შეძენის მსურველი ვალდებული იყო

²⁴ იხ. Çoban, 2012, გვ. 90

²⁵ იქვე, გვ. 90-91

²⁶ იხ: [1982 Anayasası, 57. Madde](#)

მშენებლობის საფასურის ნაწილი, რომელიც 20%-ს და 27%-ს შორის მერყეობდა, წინასწარ დაეფარა, თანხის ოდენობა კი ქალაქის და მიხედვით იცვლებოდა; - პროვინციებში შედარებით დაბალი იყო, ხოლო დიდ ქალაქებში, სადაც საბინაო პრობლემა ყველაზე მწვავედ იდგა, საკმაოდ მაღალი.²⁷ პრობლემა იყო ისიც, რომ სახელმწიფო, მიუხედავად კანონისა, საკმაოდ ხშირად, კოოპერატივებს და მშენებლობის მონაწილეებს საკმარისი ოდენობით საბიუჯეტო დაფინანსებას არ აძლევდა, ხოლო კრედიტები როგორც წესი არასაკმარისი იყო. ამგვარად, 1982 წლის კონსტიტუციასთან ერთად გამოცემული საბინაო კანონი, 1984 წელს ახლით შეიცვალა, რომელიც კერძო სექტორის როლს აფართოებდა და კერძო სამშენებლო ფირმებს აძლევდა საშუალებას ესარგებლათ სახელმწიფოს მხარდაჭერით, რამაც, მკვეთრად გაზარდა როგორც ინდივიდუალური, ისე კოოპერატიული საბინაო მშენებლობების რიცხვი. მაგალითად, 1980-იანი წლების ბოლოს, ბინათმშენებლობაში კოოპერატივების წილი 30%-ს გადასცდა, ხოლო საბინაო მშენებლობების ღირებულებების 80% კოლექტიური საცხოვრისების სამმართველოს მხარდაჭერით იფარებოდა.²⁸

მიუხედავად სახელმწიფოს აქტიური ჩართულობისა ბინათმშენებლობაში, ქალაქებში მიგრაცია გრძელდებოდა, ხოლო ქვეყნის შიგნით დამაბულობის ახალმა ტალღამ, საბინაო საჭიროებების დასაფარად გატარებული ზომები არასაკმარისად აქცია და გეჯექონდუების დიდი ქალაქების სოციალური ფაბრიკის ნაწილად დარჩენას შეუწყო ხელი. 1984 წლის 15 აგვისტოს, თურქეთის, მეტწილად ქურთებით დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, ქურთისტანის მუშათა პარტიამ, თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო, რასაც, თურქეთის სახელმწიფოს ანტიპარტიზანული სტრატეგიის ფარგლებში, რეგიონის სასოფლო ტიპის დასახლებული პუნქტების განადგურება და მოსახლეობის აყრა მოჰყვა.²⁹ მოსახლეობა, მეტწილად სტამბოლს, ანკარას, იზმირს, ადანას და სხვა დიდ ქალაქებს მიაწყდა. გაჩნდა ახალი გეჯექონდუები, ხოლო არსებულები გაფართოვდა. ამავე დროს, ქალაქების ძველ უბნებში, სადაც ინფრასტრუქტურის და შენობების სიძველის გამო ცხოვრება არაპრესტიჟული იყო, იმატა ქურთულმა მოსახლეობამ. გარდა საქალაქო მოსახლეობის მატებისა, ანტიპარტიზანული ოპერაციების შედეგად ქურთების მასობრივმა გადასახლებამ, დიდ ქალაქებში ხილვადი გახადა ქვეყნის კიდევ ერთი უმცირესობა, რომლის არსებობასაც იმ პერიოდის თურქეთის ხელისუფლება და მისი ოფიციალური იდეოლოგია უარყოფდა.³⁰

²⁷ Çoban, 2012, გვ. 93

²⁸ იქვე, გვ. 95-96

²⁹ სამხედრო ოპერაციების შედეგად განადგურებული დასახლებების მოსახლეობის ოდენობა, სხვადასხვა გამოთვლებით 900 000-დან 1.5. მილიონამდე მერყეობს. იხ: Joost Jongerden – The Settlement Issue in Turkey, Brill, Leiden, 2007, გვ. 80

³⁰ მაგალითისთვის იხ: <https://www.nadirkitap.com/101-soruda-turkler-in-kurt-boyu-sukru-k-seferoglu-halil-kemal-turkozu-kitap15355950.html>; <https://www.nadirkitap.com/tarih-boyunca-turkkurtleri-ve-turkmenler-ismet-parmaksizoglu-kitap15998637.html>. ამ პერიოდში, სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოსული ლიტერატურა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქურთები არ არსებობენ როგორც ეთნიკური ჯგუფი და თურქულ ტომს წარმოადგენენ. ამავე დროს, აკრძალული იყო ქურთულ ენაზე საგამომცემლო და კულტურული საქმიანობა, დეიურე აკრძალული იყო ქურთულ ენაზე საუბარიც კი. აკრძალვა მხოლოდ 1993 წელს მოიხსნა.

ამავე დროს, 1980-1990-იანი წლებიდან, ქალაქები, განსაკუთრებით მათი დაბალშემოსავლიანი უბნები, პოლიტიკური ცვლილებების მამოძრავებლად იქცნენ. ქემალისტურმა რეფორმებმა მართალია საკმაო წარმატებას მიაღწია რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში არსებულ ქალაქების მოსახლეობაში და მათ შთამომავლებში, ასევე გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში, რომლების ინტერესებიც არსებულ რეფორმებთან თანხვედრაში მოდიოდა. მაგრამ, ამ პერიოდში სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილს, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ გამონაკლისებს, ქემალისტური რეფორმების გავლენა არ განუცდია და შესაბამისად, ქალაქში გადმოსახლების შემდეგ, ამ ჯგუფებში, იდეოლოგიურმა მიმდინარეობებმა, რომლებიც სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიის - ქემალიზმისაგან საკმაოდ შორს იდგა, ფართო დასაყრდენი მოიპოვეს.³¹ შესაბამისად, 1970-იან წლებში, ქალაქის პროლეტარიატში თუკი რადიკალური მემარცხენე იდეები იყო პოპულარული, 12 სექტემბრის შემდეგ, მათი ადგილი ნელ-ნელა ისლამური მიდრეკილებების მქონე „ეროვნულმა შეხედულებამ“ (Milli Görüş) დაიკავა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ისლამისტებმა, ქალაქების დაბალშემოსავლიან უბნებში აქტიურად დაიწყეს მანამდე მემარცხენეების მიერ ათვისებული ადგილების დაკავება და დაიწყეს უბნების ურთიერთდახმარების ქსელების ორგანიზება, მეჩეთებში და უბნებში რელიგიური და საგანმანათლებლო წრეების ორგანიზება და სხვა.³² ამავე დროს, „ეროვნული შეხედულების“ მიმდევარი კეთილდღეობის პარტიის რიტორიკაში აქტიური როლი ეჭირა ქალაქების ღარიბ უბნებში გავრცელებულ პრობლემებთან ბრძოლას.³³ ამგვარად, 1991 და 1995 წლის არჩევნებში, ქალაქურმა პროლეტარიატმა ისლამისტური მიდრეკილებების მქონე პარტიების აღზევებაში დიდი როლი შეასრულა.³⁴

ამავე პერიოდში, საქალაქო მოსახლეობამ, განსაკუთრებით მისმა სეკულარულმა, საშუალო და მაღალმა კლასებმა, ასევე მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყო თურქეთის პროდასავლური და რეფორმისტული პოლიტიკის მხარდაჭერის კუთხითაც. და თუკი 12 სექტემბრამდე

³¹ ქემალიზმი, მიუხედავად იმისა, ზოგადი მონახაზით რეფორმისტულ, მილიტარისტულ და სეკულარულ პოლიტიკასთან ასოცირდება, რეალურად კრებითი სახელია რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა იდეოლოგიური მრწამსის მქონე პირები თუ პარტიები, რომლებსაც საკუთარი თავის და მრწამსის მუსტაფა ქემალ ათათურქთან ასოცირება სურთ. შესაბამისად, საკუთარ თავს ქემალიზმთან შეიძლება აიგივებდნენ მემარცხენეებიც, რომლებიც ქემალისტურ რეფორმებს სოციალისტური რევოლუციის საწყის ეტაპად მიიჩნევენ, და რადიკალი მემარჯვენეებიც, რომლებიც თვლიან, რომ ათათურქმა ქვეყანა „არათურქული ელემენტებისგან გაწმინდა“ და „თურქებს იდენტობა დაუბრუნა“. ამ მხრივ, ქემალიზმს გარკვეული მსგავსებები გააჩნია მაგალითად არგენტინულ პერონიზმთანაც. (თუმცა ფუნდამენტური სხვაობებით. მაგალითად ლაკლაუს მიხედვით, ერთერთი ფუნდამენტური სხვაობა ქემალიზმის არაპოპულისტური ბუნებაა. იხ:Ernesto Laclau – On Populist Reason, Verso, London – New York, 2005, გვ. 208-215)

³² Yalçın Akdoğan – İslamcılık Bağlamında Türkiye’de Siyasal İslamın Gelişimi ve Refah Partisi, Doktora Tezi, Marmara Üniversitesi, 1999, გვ. 115

³³ მაგალითად, 1994 წელს, ბეიოღლუს მერად არჩეული ნუსრეთ ბაირაქთარი, რიტორიკის კუთხით, მთავარ სწორებას ისეთ ურბანულ პრობლემებზე აკეთებდა როგორც იყო ნარკოვაჭრობა, კრიმინალი და სხვა. იხ: [Ruşen Çakır – Beyoğlu Baştan Belliydi, Milliyet](#), 29.03.1995

³⁴ არჩევნების შედეგებიც ამისკენ მიგვიბრუნებს. კეთილდღეობის პარტიამ ყველაზე მეტი ხმა სტამბოლის და ანკარის ღარიბ რაიონებში მიიღო, მაგალითად [ბალჯილარში](#), [უმრანიეში](#) და [ლაზოსმანფაშიში](#), ანალოგიურადვე, ანკარაშიც პარტიამ მოიგო ყველაზე ღარიბი ცენტრალური რაიონის - ალთინდაღის [მუნციკაპალიტეტი](#) და წარმატებას მიაღწია ანალოგიური პროფილის მქონე [სინჯანში](#).

ქემალისტური და/ან მემარცხენე პარტიები ანატოლიიდანაც საკმაო რაოდენობით მხარდაჭერას იღებდნენ, ამჯერად, ამ პარტიების მხარდაჭერის მეტწილად დიდ ქალაქებში და ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებზე ლოკალიზაცია მოხდა. ამგვარად, თურქული ქალაქები ერთგვარად ქვეყნის გაორებული კულტურული იდენტობის გამოხატულებებად იქცნენ. ქალაქის ბურჟუაზია და მაღალი კლასები, მიუხედავად მერყეობისა, მეტწილად პროდასავლური კურსის მხარდამჭერ, მეტწილად სეკულარული ცხოვრების სტილის მქონე სეგმენტად გვევლინებოდნენ, რომელთა შესახედაობა, გემოვნება და მრწამსი მკვეთრად განსხვავდებოდა ხალხის ფართო მასებისგან. სოციალურ სტრატეფიკაციას ხელს უწყობდა იმ პერიოდის თურქეთის ხელისუფლებების კულტურული პოლიტიკაც, რომელიც, მეტწილად ტრადიციული ღირებულებების მქონე, სასოფლო რეგიონებიდან ახლად მიგრირებული ქალაქური პროლეტარიატისთვის მიუღებელი იყო. მაგალითად, ქალებს, რომლებიც ატარებდნენ ტრადიციულ თავსაფარს, უკრძალავდა უმაღლესი განათლების მიღებას და უზღუდავდა საჯარო სექტორში დასაქმებას, ამგვარად, უზღუდავდა სოციალური მობილობის შესაძლებლობას.³⁵ ამგვარად, ურბანიზაციამ, ამავე დროს საზოგადოების შიგნით მიმდინარე კულტურული დაპირისპირების გაღრმავებას შეუწყო ხელი. სასოფლო-სამეურნეო კონტექსტში, ქალის ჩაცმულობას ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ტრადიციული პატრიარქატის პირობებში, ქალებს არანაირი შეხება არ ჰქონდათ არც სახელმწიფო სტრუქტურებთან და ხშირ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღების სურვილი და საშუალებაც არ გააჩნდათ. ასევე, სასოფლო კონტექსტში, ქემალისტური რეფორმების ძირითადი სოციოლოგიური დასაყრდენის - ქალაქების ტრადიციული მოსახლეობის და საქალაქო არისტოკრატის წარმომადგენლებთან ამ უკანასკნელთა კონტაქტები შეზღუდული იყო. ანალოგიურად, ურბანიზაციის პირველ ეტაპზე, რადიკალური ნაციონალისტური და მემარცხენე მოძრაობების აქტიურობის გამო, არ არსებობდა სიცარიელე, რომლის შევსებაც რელიგიურ ტრადიციონალიზმს შეეძლო.

ქურთების, ალევიტების, სასოფლო რეგიონებიდან მიგრირებული ტრადიციონალისტების და სხვა ჯგუფების ხილვადობის ზრდასთან ერთად, ქალაქმა ახალი კულტურული დატვირთვები შეიძინა და ერთგვარად, 12 სექტემბრის შემდგომ შექმნილი, მილიტარისტული ქემალიზმის მიმდევარი პოლიტიკური სისტემის მიერ შექმნილი კულტურული ნორმების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის არენად იქცა. მაგალითად კეთილდღეობის პარტიის და მისი შემცვლელი, ღირსების პარტიის მიერ კონტროლირებული მუნიციპალიტეტები ცნობილი იყო მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ალკოჰოლის მოხმარების და გაყიდვის აკრძალვით,³⁶ ამ პერიოდში ახლად გამოჩენილი ალევიტების მოთხოვნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით³⁷ და სოციალური დახმარებების დარიგებასთან დაკავშირებული საკითხების სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაბარებით. ხოლო 1999 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ქურთული მოძრაობის ხელში გადასულ ქალაქებში,

³⁵ იხ: [Türkiye’de başörtüsü yasağı: Nasıl başladı, nasıl çözüldü?](#), Al Jazeera, 30.12.2013

³⁶ [Sincan Yolunu Hindi Açtı](#), Hürriyet, 24.08.1997,

³⁷ მაგალითად, 1994 წელს, სტამბოლის მერის რეჯევ თაიფ ერდოღანის მცდელობამ, დაენგრია ქარაჯააჰმედის ჯემევი, როგორც სარიტუალო ნაგებობის ხელყოფამ, ალევიტებს და ერდოღანს შორის სამუდამოდ ჩატეხა ხიდი. იხ: [AKP Çamura Yatıyor](#), Yeni Çağ, 10.01.2008

ადგილობრივი ხელისუფლებები ქურთული კულტურის საჯარო სივრცეში გამოხატვის საკითხში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.³⁸ კულტურულ დაპირისპირებას სიმწვავეს მატებდა ისიც, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობა უკვე ქალაქების მაცხოვრებელი იყო, 1985 წელს, რესპუბლიკის ისტორიაში პირველად, ქალაქების მოსახლეობის ოდენობა გადასცდა 50%-იან ნიშნულს, ხოლო 1990-იანი წლების ბოლოსთვის, ქვეყნის მოსახლეობის 65% უკვე ქალაქების მაცხოვრებელი იყო.³⁹ ამგვარად, ქალაქები, უკვე საბოლოოდ, თურქეთის პოლიტიკური ცხოვრების მთავარ წარმმართველ ძალებად იქცნენ.

1990-იანი წლების ეკონომიკურმა ლიბერალიზაციის კიდევ ერთი ასახვა ქალაქებზე სამშენებლო სექტორის განვითარებით გამოწვეული ურბანული ტრანსფორმაცია იყო. ამ პროცესზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა 1999 წლის გოლჯუქის და დუზჯეს მიწისძვრებმა, რომლების კვალიც თურქეთის მთავარ მეტროპოლისში - სტამბოლშიც იგრძნობოდა. მიღებული იქნა მთელი რიგი ცვლილებები სამშენებლო კანონმდებლობაში, ხოლო არსებული შენობა-ნაგებობების განახლება პრიორიტეტულ საკითხად იქცა. ამავე დროს, ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონში, მსხვილმასშტაბიანმა ნგრევამ ფუნდამენტურად შეცვალა არქიტექტურული რეალობა და გზა გაუხნა ცვლილებებს, რომლებიც მოგვიანებით მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა.

ამგვარად, 1980-1990-იან წლებში, თურქული ქალაქი, ოფიციალურად ჰომოგენური, ოფიციალური კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი სივრციდან, მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ ერთეულად იქცა, რომლის მოსახლეობაც ამავე დროს პოლიტიკური ცვლილებების მამოძრავებელ ძალად იქცა. ურბანიზაციამ, ხილვადი გახადა მანამდე მარგინალური სოციალური ჯგუფები და დიდი როლი მოახდინა ამ უკანასკნელთა სოციალურ ტრანსფორმაციაზეც. მანამდე მეტწილად იგნორირებული ეთნიკური თუ კულტურული პრობლემები დღის წესრიგის თემად იქცა, ხოლო თურქეთი, მეტწილად სასოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან ურბანულ ქვეყნად იქცა, სადაც მიგრანტების ურბანულ ფაბრიკაში ინტეგრაცია ერთერთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა იყო.

სამართლიანობის და აღმავლობის პარტიის მმართველობა - მეტროპოლიზაცია და ნეოლიბერალიზმი

2002 წლის 3 ნოემბერს, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში, 10%-იანი საარჩევნო ბარიერის და მანამდე პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებს შორის ხმების დაყოფის გამო, ხმათა 34%-ით, სამართლიანობის და აღმავლობის პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა და წლების მანძილზე პირველად, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა ხელისუფლება. სამართლიანობის და

³⁸ Şemsa Özer, K. Atakan Türker - [Kürt Siyasi Hareketinin Belediyecilik Tecrübesi: Sorunlar ve Açmazlar](#), Bianet, 15.03.2019

³⁹ იხ. თურქეთის სტატისტიკის დეპარტამენტის(TÜİK) 1985 და 2000 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები.

აღმავლობის პარტია, ეროვნული შეხედულების ტრადიციის მემკვიდრე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დახურული კეთილდღეობის და ღირსების პარტიების ერთგვარი მემკვიდრე იყო და წარმოადგენდა, ღირსების პარტიის დაშლის შემდეგ, პარტიის ლიდერ ნეჯმედინ ერბაქანის წინააღმდეგ გამოსული, პარტიის „რეფორმისტული“ ფრთის მიერ დაარსებულ პოლიტიკურ ერთეულს.⁴⁰ თუმცა ახალი პარტია, განსხვავებით წინამორბედებისგან, არ იყო დოგმატურად ისლამისტური ან კონსერვატიული და მისი იდეოლოგიური მხარე ბევრად უფრო მოქნილი იყო და მისი იდეოლოგია, განსაკუთრებით ეკონომიკურ საკითხებში საკმაოდ ლიბერალური იყო, რაც მის ურბანიზაციის პოლიტიკაზეც ასახა.

დიდი ქალაქების ისტორიული ადგილების და ცენტრების გახსნა ახალი მშენებლობებისათვის ახალი ფენომენი არ იყო. მაგალითად, სტამბოლის ცენტრში და ბოსფორის სრუტის მახლობელ ტერიტორიებზე ბინების და სასტუმროების პირველი მასშტაბური მშენებლობები ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს, დედასამშობლოს პარტიის მმართველობის პერიოდში დაიწყო.⁴¹ თუმცა, 2002 წლის შემდგომ, ქემალ დერვიშის გეგმის და გლობალური ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებასთან ერთად, თურქეთში დიდი ოდენობით ინვესტიცია შემოვიდა, რამაც ძალიან შეუწყო ხელი სამშენებლო სექტორის განვითარებას. ამავე დროს, ახალი ხელისუფლების პირობებში, TOKİ-ს როლი ბინათმშენებლობებში გაიზარდა და პარალელურად, ახლად გამოცემულმა კანონებმა TOKİ-ს უფლებები მკვეთრად გააფართოვა და ამ უკანასკნელს მიეცა ტერიტორიების შესყიდვის, წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, საზღვარგარეთ მოქმედების, კერძო სამშენებლო კომპანიებთან საქმიანი კოოპერაციის,⁴² და გეჯექონდუების საქალაქო ტრანსფორმაციის დაგეგმვა-აღსრულების უფლებები.⁴³ შესაბამისად, საქალაქო ტრანსფორმაციისათვის ნიადაგი სწრაფად მომზადდა და მოკლე ხანში, საკმაოდ ბევრი ცნობილი გეჯექონდუ, TOKİ-ს უშუალო მონაწილეობით, თანამედროვე ტიპის, საკმაოდ ხშირად სათუო ხარისხის, თუმცა საცხოვრებლად საკმაოდ კომფორტული კორპუსებით დაიფარა, მოკლე ხანში, ანკარის, სტამბოლის თუ იზმირის ცნობილი გეჯექონდუების საკმაო ნაწილი TOKİ-ს მიერ აშენებული კორპუსებით დაიფარა ჩინჩინი, აქთაში თუ მამაქი ანკარაში, გაზიოსმანფაშა სტამბოლში და სხვა. თუმცა, გეჯექონდუების ტრანსფორმაციამ, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებინა, მეტწილად ჯენტრიფიკაციის სახე მიიღო, გეჯექონდუების მფლობელებმა, მათ შორის მათაც ვინც ახლად აშენებულ შენობებში ბინები ტერიტორიის ან მცირე თანხის სანაცვლოდ მიიღო, მეტწილად უბნები დატოვეს და სხვა, სოციალურად უბნის ტრანსფორმაციამდელ მდგომარეობასთან ახლოს მყოფ უბნებში გადასახლდნენ.⁴⁴ ამავე დროს, TOKİ-ს მონაწილეობით დაარსდა არაერთი

⁴⁰ William M. Hale, Ergün Özbudun – Islamism, Democracy and Liberalism in Turkey: The Case of AKP, Routledge, 2010, გვ. 19

⁴¹ Binnur Öktem - Neoliberal Küreselleşmenin Kentlerde İnşası: AKP'nin Küresel Kent Söylemi ve İstanbul'un Kentsel Dönüşüm Projeleri, Planlama, 2006, N2, გვ. 57

⁴² [4966 Sayılı Kanun](#), 31.07.2003

⁴³ [5793 Sayılı Kanun](#), 24.07.2008; [5162 Sayılı Kanun](#), 05.05.2004

⁴⁴ Erman Aksoy, Özlem Güzey Kocataş – Gecekondu Alanlarında Uygulanan Kentsel Dönüşüm Projelerinin Meşruiyet Zemini Olarak Yoksulluk ve Suç, KTÜ Sosyal Bilimler Dergisi, N 7/14, დეკემბერი, 2017, გვ. 287

ახალი უბანიც, რომლებშიც ბინები როგორც წესი შეღავათიანი კრედიტებით იყიდებოდა და ამგვარად, შედარებით ნაკლები ფინანსური შეძლების მოქალაქეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, იმდენად, რომ დღემდე, ბინის შესყიდვის უფლებები ლოტოტრონის პრინციპით თამაშდება.⁴⁵ თუმცა, მიწის ნაკვეთების ფასებიდან გამომდინარე, TOKİ-ს მიერ აშენებული უბნების საკმაოდ ნაწილი ქალაქების ცენტრებისაგან საკმაოდ მოშორებით, ყოფილ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ან გამოუყენებელ ტერიტორიაზე იყო განთავსებული. სადაც, როგორც წესი, არ არსებობდა საკმაოდ ბევრი ისეთი დაწესებულება, როგორცაა სუპერმარკეტი, საპარკმახერო, მაღაზიების მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვა.⁴⁶

საკ-ის მმართველობის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც თურქეთის ქალაქების ვიზუალურ გარდაქმნაზე დიდი გავლენა იქონია, არქიტექტურული პოლიტიკა და გრანდიოზული პროექტები იყო. ერთი მხრივ, ერთპარტიული პერიოდიდან დარჩენილი შენობების დანგრევა⁴⁷ და მათ ადგილას მეჩეთების ან ხელისუფლების იდეოლოგიური ჩარჩოების შესაბამისი ვიზუალის მქონე ნაგებობების მშენებლობამ, მეორე მხრივ კი განსაკუთრებით, სკოლების, სამინისტროების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ახლებურ, სელჩუკთა და ოსმალეთის პერიოდის არქიტექტურის მიბაძვით აშენებამ/გარემონტებამ, მკვეთად შეცვალა ბევრი თურქული ქალაქის ესთეტიური მხარე. ⁴⁸ ამავე დროს, კულტურული დომინაციის ინსტრუმენტად იქცა მეჩეთების მშენებლობაც, სტამბოლის ჩამლიჯას მეჩეთი თუ ანკარის მელიქე ჰათუნის მეჩეთები, საგანგებოდ შერჩეულ, ცენტრალურ ადგილებზე აშენდა და ხელისუფლების მიერ, მათი მშენებლობა, გარდა რელიგიური მხარისა, ტრადიციული, ოსმალური არქიტექტურის გამოცოცხლებად მოინათლა.⁴⁹ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტრუმენტებად იქცა ახალი ხიდების, უნივერსიტეტების, აეროპორტების და სხვათა მშენებლობაც. მაგალითად სტამბოლში, ბოსფორის მესამე ხიდი და ახალი აეროპორტი ასეთი გრანდიოზული პროექტების ნათელ მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

⁴⁵ მაგალითად: [TOKİ Batman'da emekliler için kura çekilişi yapıldı!](#), Emlaksayfası.com.tr, 08.10.2015; [TOKİ İstanbul Başakşehir kura çekiliş sonuçları açıklandı! 2020 TOKİ İstanbul Başakşehir sıralı tam liste](#), Milliyet, 20.03.2020

⁴⁶ მაგალითად, ანკარაში, იაფრაჯიქი, რომელიც TOKİ-ს მიერ აშენებული უბნის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, დღემდე აქტიურად გამოყენებად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შორისაა მოქცეული. უბანთან ერთად კი აშენდა რამდენიმე მეჩეთი, სკოლა, ყოველკვირეული ბაზრისთვის გამოყოფილი არეა და „საპილოტე“ ბიზნესარეა, სადაც დასახლების პირველი მარკეტი, სპორტდარბაზი, აფთიაქი, ბარი და რესტორანი იყო განთავსებული. ქსელური მარკეტები, პოლიკლინიკა და სხვა მხოლოდ უბნის აშენებიდან დაახლოებით 7-8 წლის შემდეგ საფეხურებრივად გაიხსნა. (ს.ბ.)

⁴⁷ მაგალითად ანკარაში, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე პროვინციათა ბანკის შენობის დანგრევა და გამოთავისუფლებული ტერიტორიის ახლად აშენებული მეჩეთის ეზოსთვის მიერთება. საინტერესოა, რომ დანგრეული ბანკის შენობის ადგილას, ანკარის იმდროინდელმა მერმა და საკ-ის გავლენიანმა წევრმა მელიქ გოქჩექმა საგანგებო ფოტოც გადაიღო. იხ: [Gökçek zafer pozu vermişti karar iki yıl sonra çıktı](#), Yeni Çağ, 31.10.2019

⁴⁸ იხ: Ali Uzey Peker - AKP Döneminde Rövanşist Mimari, Mimarlık Dergisi, N 386, ნოემბერი-დეკემბერი, 2015

⁴⁹ თუმცა, ოსმალური მეჩეთების დიდი ნაწილი ყოფილი ქრისტიანული ტაძრის - აია სოფიას არქიტექტურითაა ინსპირირებული. ამაზე ნათლად მიგვითითებს სტამბოლის დაპყრობამდელი მეჩეთების განსხვავებული არქიტექტურა. ბურსას დიდი მეჩეთი და მურად პირველის მეჩეთი ამის ნათელი მაგალითებია. ასევე, სხვა ანატოლიური სამთავროების და სელჩუკების მიერ აშენებული მეჩეთებიც არქიტექტურულად მკვეთრად განსხვავდება 1453 წლის შემდგომი ოსმალური მეჩეთებისგან.

ახალი ურბანული პოლიტიკა, ქალაქის მოსახლეობის მკვეთრ წინააღმდეგობას იწვევდა და ნიშანდობლივია, რომ თურქეთის ისტორიაში ერთერთი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი სამოქალაქო პროტესტის კატალიზატორად სწორედ ხელისუფლების ურბანული პოლიტიკის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები იქცა. 2013 წლის 27 მაისს, სტამბოლის მუნიციპალიტეტმა, სტამბოლის ცენტრში, ტაქსიმზე მდებარე გეზის პარკის დანგრევა სცადა. ამის მიზეზი იყო ხელისუფლების სურვილი, აღედგინა ტაქსიმის ყაზარმები, რომლებიც, ოსმალეთის იმპერიის პერიოდში გეზის პარკის ადგილას იყო განთავსებული. პარკის დანგრევის მცდელობებს პარკში გამაგრებული აქტივისტების პროტესტი მოჰყვა, რომელსაც პოლიციამ ძალის გამოყენებით უპასუხა, შედეგად, მილიონობით ადამიანი ქუჩებში გამოვიდა და თურქეთი უზარმაზარმა საპროტესტო ტალღამ მოიცვა.⁵⁰ გეზის მოვლენები უნიკალური იყო თურქეთის ისტორიაში იმ გაგებით, რომ ის, პირველი საპროტესტო აქცია იყო, რომელიც მთლიანად საქალაქო გარემოში, ქალაქთან დაკავშირებული საკითხების გარშემო დაიწყო.

ამავე დროს, მკვეთრად მატულობდა ქალაქის მოსახლეობის წილი და 2010-იან წლებში, თურქეთი უკვე მეტწილად ურბანულ ქვეყნად იქცა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქებში ცხოვრობდა, ხოლო დემოგრაფიული მატება გავლენას ახდენდა მეორე და მესამე თაობის ქალაქის მცხოვრებლების რიცხვზეც, რომლებიც უკვე ქალაქის მოსახლეობის საკმაო რაოდენობას შეადგენდნენ. 2010-იან წლებში თურქეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი უკვე ქალაქებში ცხოვრობდა.⁵¹ ისევე როგორც 1990-იან წლებში, ამჯერადაც, ცვლილებების მოთხოვნა კვლავ ქალაქების მოსახლეობაში გაჩნდა, ხოლო ცვლილებების მხარდამჭერთა დიდი ნაწილი, 1990-იანი წლების პოლიტიკური ცვლილებების მამოძრავებელი ქალაქის პროლეტარიატისგან განსხვავებით, დიდ ქალაქებში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდობა იყო.⁵² თუმცა გეზის საპროტესტო აქციების წარუმატებლობამ, საქალაქო კონტექსტში დამატებითი დატვირთვა შეიძინა და გარკვეულწილად, საქალაქო სივრცის ათვისება, ხელისუფლების მხრიდან, ამჯერად მისი წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ტალღის მონაწილეების მიმართ პოლიტიკური რევანშის ინსტრუმენტადაც იქცა, რისი მაგალითიც იყო ტაქსიმის მოედანზე ათათურქის კულტურული ცენტრის დანგრევა და ტაქსიმის მეჩეთის პროექტი.⁵³ ხოლო დღეს, ანალოგიურ დამოკიდებულებას ვხვდებით კანალ ისთანბულის პროექტთან მიმართებაშიც, რომელიც უტოპიურობით და ქალაქის ეკოსისტემასთან დაკავშირებული ფაქტორების გამო, სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება როგორც ხალხის, ისე სტამბოლის ამჟამინდელი მუნიციპალიტეტის მხრიდან და ერთგვარად, ცენტრალურ ხელისუფლებას და სტამბოლის, ამჟამინდელი, ოპოზიციის კონტროლირებად მუნიციპალიტეტს შორის პოლიტიკური

⁵⁰Alev Yaman – The Gezi Park Protests: The Impact on Freedom of Expression in Turkey, PEN International, 2013, გვ. 3

⁵¹ იხ: <https://webdosya.csb.gov.tr/db/cevreselgostergeler/icerikler/kentsel-nufus-20190417090610.xlsx>

⁵² მაგალითად, როგორც KONDA-ს კვლევის შედეგები გვაჩვენებს, გეზის პარკის აქციების მონაწილეების უმეტესობა ახალგაზრდობა იყო. იხ: KONDA Gezi Parkı Araştırması, 2013, გვ. 18,

⁵³ სხვადასხვა მემარცხენე ჯგუფების პოსტერებით დაფარული კულტურული ცენტრის შენობის ფოტო, გეზისთან ასოცირებული ერთერთი ყველაზე ცნობილი ფოტო იყო. ხოლო ის, რომ შენობის დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს ასოციაცია იყო, თავად ერდოღანმა მიანიშნა ერთერთ გამოსვლაში. იხ: [Erdogan: Gezi'de AKM'nin tepesine teröristlerin resimlerini astılar](#), Gazete Duvar, 10.02. 2019

დაპირისპირების და მანიპულაციების ინსტრუმენტადაა ქცეული.⁵⁴ იგივეს თქმა შეიძლება ქუჩების, ხიდების და სხვა ახლადაშენებული ობიექტების სახელების შესახებაც. თუკი ადრე რესპუბლიკის პერიოდის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების ან პარტნიორ, მეტწილად დასავლურ ქვეყნებთან ასოცირებული სახელები იყო გავრცელებული (რესპუბლიკის, ქაზიმ ქარაბეჯირის, საბიჰა გოქჩენის ანაც კენედის, დე გოლის, სტრასბურგის და სხვა.) ამჯერად პოპულარული გახდა ოსმალეთის და სელჩუკი სულთნების, ისლამთან ასოცირებული ფიგურების და სხვათა სახელები. მაგალითად, ანკარაში ახლადგაჭრილი ტრასას მალაზგირთის სახელი მიენიჭა, რომელიც, 1071 წლის მანიჩკერტის ბრძოლის სცენის თურქულ ენაში გამოყენებულ სახელს წარმოადგენს; ანკარაშივე, ახლადაშენებულ საცხოვრებელ უბანს ფათიჰის სახელი მიენიჭა სულთან მეჰმედ მეორის ზედწოდებიდან გამომდინარე, ხოლო სტამბოლში, ბოსფორის სრუტეზე გადებულ მესამე ხიდს, სულთან სელიმის.

ნიშანდობლივია, რომ რადგანაც თურქეთში ქუჩების თუ უბნების სახელების შეცვლა როგორც წესი მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების ნაწილია, ის, საკმაოდ ხშირად კულტურული და პოლიტიკური იდენტობის გამოხატვის ნაწილია და ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის მმართველი პარტიის იდეოლოგიას გამოხატავს. მაგალითად, ქურთული მოძრაობის მიერ კონტროლირებად მუნიციპალიტეტებში შეიძლება შეგვხვდეს ქურთი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეების, ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის კონტროლირებად მუნიციპალიტეტებში პარტიასთან ასოცირებული ფიგურების და სამხედრო მოღვაწეების, ხოლო სამართლიანობის და აღმავლობის პარტიის კონტროლირებადი დასახლებებში, სულთნების და ისტორიული ფიგურების გარდა, გავრცელებულია რელიგიურ მოღვაწეთა სახელობის ქუჩები.

ამგვარად, 18 წლის მანძილზე, ქალაქმა და ქალაქის მოსახლეობამ თურქულ კონტექსტში მკვეთრად იცვალა სახე. 2002 წლის, ჯერ ისევ რესპუბლიკის პირველი პერიოდის ელიტების კონტროლირებადი ქალაქები, ჭრელ, კოსმოპოლიტურ მეტროპოლიებად იქცა და 2000-იანი და 2010-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკურ ბუმთან ერთად, პირველ რიგში სტამბოლი, არაერთი ქვეყნიდან ჩამოსული მიგრანტების, მოგვიანებით კი სირიელი ლტოლვილების მოსახლეობის ზრდასთან ერთად, კვლავ მრავალეთნიკურ მეგაპოლისად იქცა და რესპუბლიკის დროს, არამუსლიმების მიგრაციის თუ დეპორტაციის შედეგად ჰომოგენიზებული კულტურული პროფილი კვლავ მულტიკულტურულმა შეცვალა. გეჯექონდუების საკმაო ნაწილი TOKI-ს შენობებმა და შეღავათიანი კრედიტებით აშენებულმა მრავალბინიანმა სახლებმა ჩაანაცვლა, ხოლო თურქეთი, ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, უკვე ურბანულ სახელმწიფოდ იქცა, სადაც, მისი საზოგადოების შემადგენელი სემენტების უდიდესი ნაწილი ამავე დროს ქალაქის ნაწილიც იყო.

ურბანიზებული თურქეთის დიდი ქალაქები, ამავე დროს ცვლილებების მამოძრავებელ ძალებად იქცნენ, რაც ნათლად გამოჩნდა 2017 წლის რეფერენდუმის დროს, როდესაც ქვეყნის დიდი ქალაქების აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო

⁵⁴ იხ: [Erdoğan: Kanal İstanbul, İmamoglu'nun konusu değil](#), Sputnik, 17.01.2020; [İmamoglu'ndan Kanal İstanbul için Montrö uyarısı!](#), Cumhuriyet, 06.01.2020

ცვლილებებს შეუზღუდავი საპრეზიდენტო სისტემის შესახებ.⁵⁵ ხოლო 2019 წლის ადგილობრივი არჩევნები, ერთგვარ გარდატეხის წერტილად იქცა, როდესაც, ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, ქვეყნის უდიდეს ქალაქებში, მათ შორის ანკარაში და სტამბოლში, ოპოზიციის კანდიდატებმა გაიმარჯვეს და ამგვარად, 1994 წლის ადგილობრივი არჩევნების მსგავსად, თურქეთში ახალი პოლიტიკური ეპოქის დაწყების მანიშნებლებად იქცნენ. მოვლენების სავარაუდო განვითარებასთან დაკავშირებით პროგნოზების გაკეთება შეიძლება ჯერ ადრეა, მაგრამ ცხადია, რომ მეტროპოლისთა თურქეთი, განსხვავებით „ძველი თურქეთისაგან“, ურბანიზებული სახელმწიფოა, რომელმაც უკვე შეითვისა ქალაქური ღირებულებები და მისი მომავალიც ამავე კონტექსტში განისაზღვრება. ხოლო ტრადიციული, სასოფლო-ფეოდალური და გეოგრაფიული პოლიტიკური დინამიკები კი უკვე წარსულია.

⁵⁵ რეფერენდუმის შედეგებისთვის იხ: <https://secim.haberler.com/2017/referandum/>